წელიწადი მეცხრე.—№ 432

პარასკევი, 19 ივლისს 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА".

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ. მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: Псв ნოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

„დროების" განცხადება—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: განათლებული (?) ახალგაზდობა—სამუქაფოს დამატება—„დროების" კორრესპონდენცია: ლარი ხევიდგან—უჟირილიდგან—მეველის საჭირო განმარტებისაგამო—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი—თფილისის აზნაურობის სადგილ-მამულო ბანკის წეს-დება განცხადებანი.

# „დროება"

ხელის-მოწერა მიიღება: ტ ფ ი ლ ი ს ს—„დროების" კანტორაში, Пვანოვის ბიბლიოტეკაში. ქ უ თ ა ი ს ს—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

„დროება" ღირს გაგზავნით: ერთი წლით—ე ქ ვ ს მანეთად, ნახევარი წლით სამ მანეთად.

**ვისაც წრევანდელი, ან შარშანდელი გაზეთის ფასი აქამდის არ შემოუტანია, ვთხოვთ გამოგზავნონ რედაქციის კანტორაში.**

# საქართველო

## განათლებული (?) ახალ-გაზდობა.

*ხე, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკრას და ცეცხლსა ზედა დაედვას.*

ერთი რამ არ გვესმის აქამდის: რისთვისა სწევს ჩვენი სამშობლო ამ სიდიდე ხარჯს თავის შვილების გამოსაზდელათ? რომელი ზნეობითი, ან ნივთიერი მოსაზრებით ხელთ მძლევანელობს საზოგადოება, რომ უკანასკნელ თავის ლონისძიებათაგან ახალგაზდობის განათლებას (?) ანდომებს?!.. საინტერესოა—რასთვისა სდებს ხალხი ამდენს ღვაწლს ახალგაზდობისათვის? მისი ეხლანდელი მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ო ბ ი ს თ ვ ი ს, თუ მომავლის იმედით? აგვხსნათ ეს.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეხლანდელმა ჩვენმა განათლებულმა (?) ახალგაზდობამ ვისმეს თვალი აუბას. ხალხმა კარგათ გაიგო, რ ა ც ყ ო ფ ი ლ ა ი ს განათლებული (?) ახალგაზდობა, რომელზედაც ქვეყანა სასოებდა! ფარდა კარგა ხანია ჩამოეშვა და ეხლა ველარავის ვერ გააბრიყვებენ მარტო სიტყვებით: „განათლებული"! „სწავლული"!

ჩვენ თამამად გამოვიწვევთ, გვიპასუხოს ამ ხალხის ცრემლითა და სისხლით გამოზრდილ ახალგაზდობამ: რ ა გ ა ა კ ე თ ა მან აქამდის? რას ალიარებდა უწინ და რა კვალს ადგას დღეს?!.. ამაზედ პასუხის მოცემა ცოტა დელიკატური საქმეა, მაგრამ თუ სინდისსა და ჭკუას სამუდამოთ არ მოუძულებია ისინი, თუ ყველაფერი, რასაც ეს ახალგაზდობა ამბობდა სიცრუვე და საზარელი შარლატანობა არ იყო—შესაძლებელია კიდევ გულწრფელი აღსარება. შეკდომების და გასწორების იმედი იმათზედ, ვინც ცხოვრების ტალღაში შეტოპა, ვინც დასთმო თავისი უძვირფასესი რწმუნებანი და ლტოლვილებანი, უნდა გავტყდეთ, ჩვენ არა გვაქვს. საკმაო იქნება ისიც, თუ ამ საპატიო ხალხმა სიმართლის ცნობა შესძლო, და თუ იმდენი ზნეობითი სიმხნე გამოიჩინა, რომ გატყდეს და სთქვას: „დიაღ, მე ვერ ავასრულე მამულის შვილის დანიშნულება!"

ამის შემდეგ ვიკითხავთ ჩვენ: დააკლდებოდა ვითომ რამე საქართველოს, რომ მოულოდნელი სასწაულით ერთ დღეს მთლად გამქრალიყო ეს ჩვენი განათლებული (?) ახალგაზდობა?—ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს საოცარი შემთხვევა სრულიად უმნიშვნელო მოვლენათ მისაღები იქნებოდა ჩვენი სამშობლოსათვის.

უბედურება არ არის, რომ ქვეყნის უკეთეს შვილებზედ, ე. ი. ვისზედაც მომეტებული იმედი და სასოება უნდა გვქონოდა, ამას ვამბობდეთ!

მაგრამ სხვა ნაირი საწყალის ღირსი რომ არ არიან ეს საპატიოები, რა ჰქნათ! ..

დღევდის ქართველ ახალგაზდობას ჩინოვნიკობის ასპარეზზედ თუ გამოუჩენია თავი, თორემ სხვაგან ჩვენ იმას არ ვხედავთ! აქ კი, სიმართლე უნდა ვსთქვათ, მრავალნი ამ საპატიოთაგანნი ძალიან გამოცდილებას და გამჭრიახობას იჩენენ საკუთარი სარგებლობისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენებურ ჩინოვნიკს ისევ რუსის ჩინოვნიკი სჯობია. აი რისთვის: რუსს ყოველთვის მომეტებულად თავისუფლად და თამამად შეუძლია მოქმედება ვიდრე ჩვენსას. მას არავინ შესწამებს—არც ჩვენი კაცის მიდგომას, არც ქომაგობას. ეხლა გვიბრძანეთ ერთი: ვ ი ს თ ვ ი ს ან რ ი ს თ ვ ი ს არის საჭირო ქართველი ახალგაზდობა მის ეხლანდელ ბანაკში?!—პასუხი მოკლეა: მხოლოდ თ ა ვ ი ს თ ვ ი ს და მონათესავეთათვის.

მაშ სადამე, ამხრით ქართველი განათლებული (?) ახალგაზდობა ყოვლად უნუგეშო სურათს წარმოუდგენს თავის სამშობლოს! რა საგულისხმოა, რომ ხალხმა მზავსი „დ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს" იხადოს ყოველ წლობით ნახევარ მილლიონამდი! (ეს რიცხვი დაახლოვებითი ხარჯია, რომელსაც ჩვენი ხალხი სწევს განათლებისათვის. მართებლობისაგან დანიშნული გასავალი ამ საგნისთვის კიდევ სხვაა.) რასაკვირველია, არა ამ ჩინოვნიკურ თვისებებისათვის ზდის და უმართავს ხელს ახალგაზდობას საზოგადოება. არა! ქვეყანა მოელის თავის შვილებისაგან, რომ ის თუ დღეს არა, მომავალში მაინც მოუმზადებს მას ბედნიერს, და ნათელს ცხოვრებას, ე. ი. ასწავებს ჩვენს ხალხს, თუ რა არის საჭირო, რომ იმისმა ეკონომიურმა და ზნეობითმა მდგომარეობამ იმ ხარისხამდე მიაღწიოს, რომელზედაც განათლებულ ქვეყნებს ვხედავთ. ხალხი ფიქრობს, როგორც კარგი მეოჯახე, თუ წელს და მერმის არ მოიტანა ჩემმა დარგულმა ხემ ნაყოფი, შემდეგ ხომ კი უთუოდ გამოისხამს ხვავიანად და მით აღმიდგენს პირველი წლების ზარალსაო. სწორედ ამ გვარი გრძნობა უნდა ჰქონდეს ჩვენს სამშობლოს, როდესაც ის შეთხელებულ ჯიბეს აგრე დიდ-ძალს ხარჯს ადებს და როდესაც ის არ შურავს თავის შვილების განათლებისათვის არა ვითარს ღონეს. მაგრამ შვილები კი ჯერ-ჯერობით გამოსადეგი არ არიან მისთვის.

მაგრამ კარგი ოჯახის კაცსაც მოსწყინდება, თუ მისმა დამყნილმან დიდხანს აცდევინა და ნაყოფი არ დაანახა თავის ღვაწლისა. ასეა ქვეყანაც. შესაძლებელია, როდესაც უნუგეშო მაგალითები ხშირათ განმეორდება, როდესაც ახალი თაობა ზედი-ზედ უსარგებლო და პირადი კმაყოფილების მიმდევნელი გამოვა, ხალხმა მოუსპოს იმას თავისი შეწევნა!

ძალიან საჭიროა ქვეყნისათვის, ორასი თუმანი ჯამაგირი ექნება მის შვილებს, თუ სულ არაფერი, როდესაც ეს ორივე მდგომარეობა თანასწორად შველის ხალხს! ...

აქამდის ჩვენ ერთობ სამწუხარო სურათს ვხედავთ ჩვენი განათლებული(?) ახალგაზდობისას და აწ რაიქნება, ეს უფალმან უწყის!

ერთი კი შეგვიძლია ვახაროთ, ვისაც ჩვენი სამშობლოს ბედზედ გული შესტკივა: ეხლანდელი ახალგაზდობის მომეტებული ნაწილი, რომელიც უმაღლეს სასწავლებელშია დღეს სულ სხვა გზას აპირებს დაადგეს ვიდრე მათი წინამოადგილენი. ესენი სამუდამოთ ჰგმობენ იმ შრომას და მოქმედებას, რომელიც ხალხის სასარგებლო არ იქნება, რომელიც არ აღამაღლებს ქვეყნის ნივთიერ და ზნეობით მდგომარეობას...

ჩვენ აღტაცებით მოულოცავთ ახალგაზდობას, ამ მის კეთილშობილურს გარდაწყვეტილებას

და გაუმზადონ ხალხს ნათელი და მხიარული მომავალი ამათ მაინც!.

მეველე.

## სამუქაფოს დამატება

(წასრულ ნომერში დაბეჭდილს სამუქაფოს ეს ტაეპები დააკლდა. ამას გარდა უფ. სტადლინსა და ნ.—თელს შუა გამოშვებულია სათაური: დ. საზოგადო მოქმედთა.)

### გარდახვეწილს

გარდახვეწილმან . . . . .
სადღა იხილოს ცა მშობლიური!

—

### ვ—ს

ვინც მოუსწრაფა საწყალს სიკვდილი,
იმას კი გრძნობით არ ვინ აკურთხებს;
მას შეაჩვენებს მისივე შვილი
და მის საფლავსა გარდააფურთხებს!

—

### ი—ს

კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

### ი—ს

თვალი დაუდგეს ხუროსა,
დაჯდეს და არახუნოსა!

—

### დ—ს

დავბერდი და მოუძლურდი, წვერი შემექმნა ჭალარა!
აზნაურებს მოვსძულდი, ბატონს უნდევარ აღარა,

## „დროების" კორრესპონდენცია

ს. ლარიხევი, 12 ივლისს, 1874 წ.

მადლობა ღმერთს, როგორც იყო, მოვესწარით ხარაგოულში შკოლის გახსნის გადაწყვეტას! გუშინდელს რიცხვს აქ იყო მესამე ყრილობა. ამ ყრილობას შეადგენდა ორი საზოგადოების, ხარაგოულისა და ლელენის, გლეხები, რადგან ამ ორი საზოგადოებისაგან იყო საშკოლო სახლი აშენებული. ამ ყრილობაში, როგორც სჩანდა მოწერილობიდან, უნდა დასწრებოდენ: უეზდის ნაჩალნიკი და მომრიგებელი შუამდგომელი. პირველი, რომელიმე მიზეზით, არ დასწრებია, უკანასკნელი კი დაესწრო და მისცა ხალხს რიგიანი შეგონება, წარმოუდგინა რა მათ მრავალი მაგალითი განათლების სარგებლობისა. მასთანავე წაუკითხა მათ ნაჩალნიკისაგან მოწერილი წიგნი, რომელშიაც ეწერა: „შორაპნის უეზდის ოცდა შვიდ საზოგადოებაში არის შედგენილი სოფლის განაჩენი შკოლის გახსნის თაობაზე და ყველგან მომავალი წლის იანვრიდგან გაიხსნება შკოლებიო." შუამდგომელთან ხალხის შეგონებაში სხვა პირებმაც მიიღეს მონაწილეობა. ხალხი თუმცადა უარს განაცხადებდა, როგორც პირველს და მეორე ყრილობაში, მაგრამ ბოლოს დათანხმდნენ და განჩინება შეადგინეს მასწავლებლის დაქირავებაზედ, კომლზე ოცდა ათი კაპეიკის გაწერით. ეს რაოდენობა შეადგენს სულ მთელი ორი საზოგადოებიდგან ორას სამოცდა თერთმეტ მანეთს. ამ ფულიდან ორას ოცდა ათი მანეთი დაუნიშნეს მასწავლებელს, ხოლო დანარჩენი ორმოცდა ათი მანეთი შკოლის მებელის გასაწყობათ და ობლების შესაწევნელად დანიშნეს. საშკოლო სახლები, როგორც გაგონილიც გაქვსთ, შორაპნის უეზდში ამ ორი სამი წლის განმავლობაში ბევრგან იყო გამართული, მაგრამ მოსწავლეებს იშვიათად სადმე ნახევდით. მიზეზი ბავშების შკოლაში შეუყვანლობისა ის იყო რომ მამებს თითოეულ ყმაწვილზედ სამ-სამი მანეთი უნდა შეეტანათ მასწავლებლის სასარგებლოდ, რომელიც ყველას სამძიმოთ ურჩებოდა. ახლა კი იმედია, რომ მომავალი წლიდამ მიუცილებლად გაიხსნება შკოლები როგორც ჩვენ ხარაგოულში, ეგრეთვე სხვაგანაც. ეს ამბავი ვგონებ საინტერესო გასაგონი უნდა იყვეს ყველა სახალხო განათლების მოსურნე პირთათვის რომელნიც, გაზეთებში ლაპარაკის-გარდა, საქმითაც აღმოუჩენენ შკოლებს შემწეობას.

W.

ქ. ქუთაისი, 1 ივლისის 1874 წ.

ხომ იცით, მკითხველო, როგორი საშუალებით იჭერენ და ხოცვენ აფრიკელები სპილოებს? თუ არ გაგიგონიათ, მე მოგიყვებით. პირველად, ვინც მისი მადევარია, შენიშნავს იმ ადგილებს, რომელზედაც სპილოები დაიარებიან. ბოლოს ერთ დღეს იმ გასავალ გზაზე ამოიღებენ დიდ ორმოს და ზევიდამ ფოთლებიან ტოტებს დაალაგებენ. გამოივლის თუ არა სპილო, იმას არ ჰგონია, რასაკვირველია, იქ თხრილი, და შიგ გააყუნებს რეხვას! ზევიდამ ხეებს დააყრიან და ბოლოს მიწას. შემდეგ როდესაც ხორცი დალპება და ძვლები ცალკე დარჩება, მაშინ ამოთხრიან, ამოიღებენ ძვლებს და ძვირფასად ჰყიდიან.

როდესაც ძველ ქუთაისის თუჯის ხიდზე გავდივარ, სულ ამას ვფიქრობ, ნეტავი ქუთაისელები სადიდამ მოელიან ღამით სპილოებს, რომ აქეთ-იქით ხიდის თავებში ათიოდე ფიცრები აულიათ? ნეტავი ვის დაასახოცად არის ეს უბედური ჩასავარდნი ამ ხიდის თავებზე მოწყობილი? თუ სპილოებისთვის არის, ჩვენში ისინი არ არიან. ხალხისთვის თუ არის მოწყობილი, და მათ დასასჯელად, რომელნიც ქვევით ხიდზე არ გაივლიან და ორ კაპეიკს არ გადაიხდიან, ორი კაპეიკისათვის კაცი როგორ გაიმეტოს კაცმა დასაღუპავად? მე, მადლობა ღმერთს, იმდენ ღვინოს არ დავლევ, რომ ჭკუა დამეკარგოს და გადავარდე, მაგრამ რამდენი მსმელია ქუთაისში, რომ ხანდისხან არც კი იცის, რომელ ხიდზე მიდის. ის იქნება ფიქრობს, რომ ახალ ხიდზე მივდივარო და ამ დროს ყირამალა ვარდება რიონში! ამას წინეთ ერთი პატარა შაგირდი დაიკარგა ქუთაისშიო, როგორც ამბობენ, და ვინ იცის, რომ საწყალი ამ ხიდზე არ გადავარდა? იმ დალოცვილს, ვილაცამ ეს ხიდი ასე საშიშრად გახადა, განა არ შეეძლო, რომ ერთი რვა ფიცარი ერთი ერთმანეთზე შეედვა და ლობესავით გაეკეთებია აქეთ იქით? ვინ იქნებოდა ისეთი გიჟი, რომ ორი კაპეიკის გულისათვის ამ ფიცრებს დაუწყებდა ნგრევას? სხვა ქალაქებში, სადაც ამისთანა თხრილები და ორმოებია, ყურადღება აქვსთ მიქცეული და შლიან და აქ, ჩვენ ქუთაისში, იმისთანა საუბედურო ადგილებს ხიდის თავებზე აკეთებენ, სადაც ხალხი ნიადაგ მიდის-მოდის დღე და ღამე!

ქუთაისის ბულვარშიაც კი არის ამისთანა კისერ მოსატეხი თხრილები მოწყობილი, მაგრამ, დაუმადლოს ღმერთმან მას, ვინაც მესერის ლობე გააკეთებინა ამ ბულვარში. ერთ არშინიან გზაზე იქით აქეთ ლობე არის ისეთი გაკეთებული, რომ თავიდამ ბოლოში ისე გახვალ კაცი, არსად არ გადავარდები. მხოლოდ ეს არის ძნელი, კაცი რომ შეგეყაროს ამ ორ ლობეში, გაჭირვებით შეუვლი გვერდს! ხაბარდიანი მანდილოსანი თუ შეგხვდა, უკან თუ დაბრუნდები, თორემ მეტი ღონე არ არის! დიდი რამე დასჭირდება, რომ ამ ხიდზედაც ამისთანა ლობე გააყოლონ და კაცების დასაღუპავად არ იყოს მოწყობილი ჩასავარდნი? . . . . .

X.

## მეველის საჭირო განმარტებისაგამო

(ვუძღვნი ჩვენს ძველ თაობას).

„დროების" 429 №-ში იყო დაბეჭდილი უფ. მეველის სტატია შემდეგის სათაურით: „საჭირო განმარტება". როგორც სჩანს ამ სტატიისაგან, უფ. მეველე მეტად შეუწუხებია ძველთაობის წუხილსა და საჩივარს და სცდილობს, ცოტა ოდნავ მაინც დაუშოშოს მათ გული. მხოლოდ ეს ერთი ვერ გამიგია: რაში იმართლებს თავს უფ. მეველე? რა დანაშაულობა და შეცოდება-აქვს მას, ანუ მის თანამოაზრეებს? ვითომ ის, რომ ძველ თაობას და მის მოქმედებასა ძრახვენ? ამ ნაირი მათი საქციელი, ჩემის აზრით, სრულიადაც არ თხოულობს თავის გამართლებას.

მართალია, ჩვენ ვძრახავდით ხანდა-ხან ძველ თაობას, ვძრახავთ კიდევაც და მომავალშიაც ვიქმნებით მძრახველი, რადგანაც არის მიუცილებელი საჭიროება. ჩვენ ვძრახავთ სწორეთ ძველებს, მაგრამ რომელ ძველებს, თუ იცით, ბატონებო? ჩვენს მამებსა და პაპებს მათის თანამედროვეებითურთ. ამაზე ზემოთ აღარ მივდივართ, და ესენი კი კი ღირსნი არიან ძრახვის, ლანძღვის, ვიტყვი მეტსაც, ყოვლის სიძულვილის ჩვენგან...

ჩვენი მამა პაპები და მათი დროს კაცები რითი დაიმსახურებენ ნეტავი ჩვენგნით შეწყნარებას? მამულის სიყვარულით და სამაგალითო ცხოვრებით, ანუ მზრუნველობით ხალხის განათლებაზედ, ან სხვა ღვაწლის დადებით? თუ მამამულეთა დასმენითა და მტრებთან ენის მიტანით? ეს ყოფილა თქვენი ღირსება! მაშ რა ნაირათ უნდა შეგიყვაროთ თქვენ, ჩვენო ძველებო? თუ თქვენ იმდენსაც ვერ გამხილებს თქვენი სინიდისი, რომ სიცოცხლე მიგაჩნდესთ სასასირცხოდ თქვენი ყოფა-ქცევა, და თქვენი სინიდისი, რაღა უნდა იყოს?! მაგრამ რა გიშავთ!.. თქვენ ძრიელ გამოქნილები ბრძანდებით და გგონიათ ჩვენც ისრე გაგვაცურებთ, როგორათაც აქამდის ატყუებდით მრავალთა, რომელთაც თქვენს მავნებელსა და მდაბალ ინტრიგებს აჩვენებდით კეთილმზრუნველობათ მათთვის. ამ შემთხვევაში კი უკაცრავოთ! ჩვენ ისრე უბრალონი არა ვართ, რომ თქვენმა დაძონძილმა ოინებმა თვალი აგვიხვიოს. რაც უნდა ეცადოთ არ შეგიძლიანთ დაგვიმალოთ არც ერთი საბუთი თქვენის გასრვილის მოქმედებისა. ჩვენ თითო თითოდ გარდვიხილავთ არხივებს თქვენის სულმდაბლობისას, ჩაჩუტობისას, უწყალოებისას, მოძმეთ მცარცველობისას; გამოვააშკარებთ მათ, ალვბეჭდავთ ფერადის ასოებით და კრძალვით შევინახავთ ამ საკვირველ მოთხრობას თქვენის მეცადინეობისას. ჩვენი ვალია, გავაცნოთ მომდევარ თაობასა და შთამომავალობას თქვენი გაჭუჭყიანებული სულის ყოველგვარი მოძრაობა, ყოველ მხრივ გარყვნილი ზნეობა, ტალახიანი სინიდისი და თქვენის საზოგადო ცხოვრების ანალიზით, გაუშენოთ მტკიცე ძირი შთამომავალობის გულში — თქვენდამი სიძულვილსა და თქვენის მოქმედებისადმი ზიზღსა.

ნუ იმშვიდებთ თავს თავს იმ მოფიქრებით, რომ ჩვენ ვინმე დაგვავიწყდეს. ჩვენ მეტად კეთილი გულისანი ვართ და დაუვიწყელად გახსოვან ყველანი, ვინც ჩვენის სიძულვილის ღირნი არიან....

სასასირცხოა ჭეშმარიტად თქვენი შვილობა, ძმის-წულობა, ბიძა-შვილობა, შვილი-შვილობა, მაგრამ რა ჰქნას კაცმა?—გარდაქმნა და ახლად შობა თავისი შეუძლებელია,—ეგ არის ჩვენთვის უდიდესი სამწუხარო.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოხუცებულები სიამოვნებით გაღრიჭებდნენ მეველის სტატიის წაკითხვის შემდეგ, მაგრამ მეტად მოკლეა თქვენი მხიარულება! აბა კარგათ ჩახედეთ მეველისს ტატიაში, რას ანბობს ის. ვის აქებს და ვის წინ იმართლებს თავს: მეველე აქებს ძველებს, რომელნიც კეთილშობილურის მოქმედებით და ზნეობითის ცხოვრებით მაგალითნი იყვნენ ხალხისათვის, და არა თქვენ!

ვგრძნობ წინათვე, როგორი მოქმედებაც ექმნება თქვენზე ამ პატარა სტატიას: ვხედავ თქვენი ბრაზიანი თვალების პრიალს, კბილების კრეჭას; მესმის თქვენი გესლიანი გულის ცემა და მუქარა. მაგრამ ამისი მე სრულიად არ მეშინია, გარწმუნებთ. არ მეშინია აგრეთვე არც ათას ნაირი უწმინდური და ბასრი იარაღის, რომელიც თქვენ გიპყრით ხელში.

თქვენ არა ხართ შებრალების ღირსნი! თქვენ ნიადაგ ძმარსა და ძირ-მწარეს უნდა გასმევდესთ კაცი, იქნება ამითი თქვენს სიმსუქნეს ცოტა მაინც მოაკლდეს ხალხის და თქვენის სახლობის სისხლით გასუქებულ ჯიგრებს. ჩვენს ხელებს თქვენ ვერ შემოახვევთ თოკებს, ჩვენს გონებას თქვენ ვერ გააჩუმებთ. რამდენათაც უფრო გაისრვებით, იმდენი უფრო გამახვილდება ჩვენი კალამი და არ გაუშვებს არც ერთ შემთხვევას დაწვრილებით გააგებინოს ქართველობას,—თუ კი დაბრკოლება არ იქნა,—თუ რა ნაირის ტყუილებით მოჰკაზმავთ ხოლმე თქვენ ყოველს საძაგელს თქვენს მოქმედებას.

მაგრამ კმარა ეხლა... ჩვენ კიდევ გვექნება ამაზედ ლაპარაკი. მხოლოთ გაგაფრთხილებთ წინათვე, რომ ტკბილსა და სასიამოვნოს ვერას მოგახსენებთ. მაშ მშვიდობით დრომდის, ნეტავი მალე გამოგვეშვიდობოთ სულ საუკუნოდ, ესე იგი გაგვაცილოთ ჯოჯოხეთის კარებამდის.

ქადაგიძე.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

გაზეთის „კავკაზის" დეპეშა გვაცნობებს, რომ ნაციონალურს კრებას უარი უყვია კანონების შედგენაზედ. ეს ხელ-მეორეთ დაუნდობლობის განცხადებაა ნაციონალური კრებისაგან მარშალისადმი. მაკ მაჰონი სთხოულობდა, რომ ამ შვიდი წლის განმავალობაში, როდესაც ის რესპუბლიკის პრეზიდენტათ უნდა იქნეს, პალატას კანონები გამოეცა, რომ ამით პრეზიდენტისათვის გაეადვილებინათ ქვეყნის მართვა. მაგრამ ეხლანაც. კრება უარს ჰყოფს ამაზედ, მაშასამე მაკ მაჰონის პრეზიდენტობაზედაც.

ამის შემდეგ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება: დათხოვნა ნაციონალური კრებისა და ხელ-ახალი კენჭის ყრა დეპუტატთ აღსარჩევად.

ფურტუ-სისეს სამინისტრო მთლად ერთიანად გამოვიდა სამსახურისაგან და ის ამბავი, რომ წინანდელ ნამინისტრალს უ. ბროლის მიანდოთ პრეზიდენტმა კაბინეტის შედგენა, სიცრუვე გამოდგა. ეხლა ეტყობილობთ, რომ უმთავრესს მინისტრებად მაკ-მაჰონს დაუნიშნავს შაბო-ლატური და მატიე ბოდე. ორივე ესენი ორლეანის გვარის მომხრეთ ირიცხებიან პალატაში. მაგრამ ბოდე კი ამ ბოლოს დროს კაზიმირ პერიეს რესპუბლიკისაკენ იბრუნებს პირს. ამისთანა კაცის აღრჩევა მინისტრად ცხადათ ამტკიცებს უ. მარშლის შესუსტებას.

---

ლეგიტიმისტი ფრანლიე ისე გაეცეხლებია მარშალი მაკ-მაჰონის ეპისტოლეს ნაციონალურ კრებისადმი, რომ ის რესპუბლიკის პრეზიდენტის სამართალში მიცემის მოთხოვნას აპირებდა. მაგრამ ეს განზრახვა ჯერ ჯერობით დაუთმია თავის მეგობრების თხოვნით.

---

გაზეთი „ფიგარო" ორის კვირის ვადით აკრძალა მართებლობამ იმ წერილისთვის, სადაც ფიგაროს თანამშრომელი სენ-ჟენ ურჩევდა მარშალს მაკ-მაჰონს, რომ ერთი-მეორე დეკემბერი მოეხდინა ხელ-ახლა. ე. ი. სახელმწიფო ცვლილება. 2 დეკემბერს, როგორც უნდა ახსოვდეს მკითხველს, ნაპოლეონმა სალდათების თოფის დუმებით გამორეკა ხალხის წარმომადგენლები ნაციონალური კრებიდგან.

---

რუერი, ნაპოლეონის პირველი ნამინისტრალი ანუ ვიცე იმპერატორი, როგორც უწოდებდნენ ამ კაცს იმპერიის დროს, დღეს იმედია სამართალში რომ მიეცეს. რუერს უმტკიცდება, რომ ის ყოფილა კანონისაგან აკრძალულ საზოგადოებაში, და როდესაც ამას წინეთ მოსთხოვეს მას ნაციონალურ კრებაში პასუხი ამ საგანზედ, რუერმა პ ა ტ ი ო ს ა ნ ი (?) სიტყვით განუცხადა თავის ამხანაგებს, რომ მან ამ საქმის სრულიად არა იცის რა!

---

ეხლა უკიდურესი პარტიები, მარცხენა და მარჯვენა მხარე, ერთად მოქმედებენ. ორივე გაცხარებული მტერია მმართებლობისა, რესპუბლიკელები—ადრიდგან და მონარხიელები—იმის შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ მაკ მაჰონი მათ პლანებს არ ეხმარება.

---

გერმანიის კანცლერი, თავადი ბისმარკი, ამას წინეთ დაჭრა ხელში ტამბაჩის ტყვიით ერთმა პრუსიელმა მუშამ კულმანმა. ამბობენ, რომ ბისმარკი ამ ჟამად თითქმის განთავისუფლდა ჭრილობისაგან. ამ საქმემ საყოველთაო ყურადღება აღძრა ევროპაში, მაგრამ არც ერთს პარიჟელ გაზეთს არ გამოუცხადებია ამ საგანზედ არც მხიარულება, არც წყენა.

---

გაზეთის „კავკაზის" უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა. „ნაციონალურმა კრებამ 374 ხმის უმრავლესობით 333 ხმის წინაამდეგ უარ-ჰყო წინადადება რესპუბლიკის სამუდამოდ დამყარებაზედ და 637 ხმის უმრავლესობით 33 ხმის წინაამდეგ—წინადადება რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლების ორგანიზაციაზედ.

# განცხადება

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს ამით, რომ ამ ივლისის თვის 30-ს მოხდება გამგეობაში ვაჭრობა და წესისამებრ სამ დღეს იქით ხელ-მეორედ ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით უნდა გაიცეს შესაბმელ ცხენებზედ ასალები გარდასახადი სამის წლის ვადით.

ძალითა უმაღლესის ბრძანებისა 7 მაისიდგან 1872 წ., რათა აღსრულებულ იქმნეს სახელმწიფო რჩევის სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტში გარდაწყვეტილი აზრი, თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დაწესებაზედ, ფინანსთ მინისტერმა დაამტკიცაამ წლის 28 მაისს ხსენებულის ბანკის წესდება.

ნამდვილზედ დაწერილია: „ვამტკიცებთ“.
ხელმოწერილია: ფინანსთ მინისტერი რ ე ი ტ ე რ ნ ი
28 მაისს 1874 წელსა.

# წეს-დება

## თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა

---

### თავი I

ბ ა ნ კ ი ს  წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა  დ ა  თ ა ვ ნ ი.

§ 1. თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკი ფუძნდება სესხის გასაცემად თფილისის გუბერნიაში მდებარე უძრავი საკუთრების გირაოში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1-ლი. ამ ბანკს აფუძნებენ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურები: 1) ვისაც შეტანილი აქვს ბანკის დასაფუძნებელის თავნის შესადგენად განსაზღვრული წილი გლეხთა პირადის თავისუფლებისათვის უ მ ა ღ ლ ე ს ა დ ნაბოძევის სასყიდლისაგან; 2) ვისაც შეუტანია ან უნდა შეიტანოს ბანკის დასაფუძნებელის თავნის შესადგენი ხვედრი ფული, იმ პროტოკოლის თანახმად, რომელიც გუბერნიის თავად-აზნაურების საგანგებო კრებამ შეადგინა 29 ნოემბერს 1872 წელსა, და 3) ის თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურები, ვისაც გლეხთა პირადის თავისუფლებისათვის სასყიდელი არ მიუღია, მაგრამ ბანკის დასაფუძნებელის თავნის შესადგენად შეიტანს ფულს იმ ზომით, რომელიც განსაზღვრული იქნება 82 მუხლის 12 ქდის თანახმად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2-რ ე. ბანკს არავითარი განსაკუთრებითი უფლება და უპირატესობა არ აქვს მიცემული.

§ 2. ბანკის დასაფუძნებელი (საუნჯე) თავნი შესდგება: ა) ოთხმოციათასი მანეთისაგან, რომელიც შეტანილია თავად-აზნაურებისაგან და შენახულია ადგილობრივს ხაზინაში; ბ) ას სამოცი ათასი მანეთისაგან რომელიც უ მ ა ღ ლ ე ს ა დ ნაბოძევია თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დასაწესებლად, და გ) იმ ფულისაგან, რაც შეტანილია, ან შესატანი თფილისის აზნაურობის მხრით, იმ პროტოკოლის ძალით, რომელიც გუბერნიის აზნაურობის საგანგებო კრებამ შეადგინა 29 ნოემბერს 1872 წელსა.

§ 3. ბანკი იწყებს თავის მოქმედებას იმას შემდეგ, როდესაც 64 მუხლის თანახმად არჩეულის გამგეობის განკარგულებაში გარდაიცემა 2 მუხლის ა და ბ ქდეებში მოხსენებული ფული.

§ 4. იმ ფულის ჩაბარებაში, რომელიც შეტანილია ბანკის დასაფუძნებელისა და შემონახულის თავნის შესადგენად, ბანკის გამგეობამ უნდა მისცეს თავად აზნაურებს ცალ-ცალკე სახელდობრივი კვიტანციები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როდესაც ამ მუხლში მოხსენებული კვიტანციები ერთის მეპატრონისაგან მეორის ხელში გადადის, ბანკის გამგეობას დროზედ უნდა შეატყობინონ, რომ მან თავის დავთრებში ჯეროვნად ჩასწეროს.

### თავი II

ბ ა ნ კ ი ს  მ ო ქ მ ე დ ე ბ ა.

§ 5. ბანკს შეუძლიან სესხის გაცემა მხოლოდ სახნავ-სათესის, სათიბისა და საბალახო მიწების, ვენახისა და ხილნარი ბაღების და ქალაქში მდებარე უძრავი ქონების გიროში, თუ რომ ეს ქონებანი სესხის ამღების სრულს საკუთრებას შეადგენენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გირაოდ მისაღები ქალაქის შენობანი, როგორც ხისა, აგრეთვე ქვით-კირის, ცეცხლისაგან უზრუნველ-ყოფილი უნდა იქმნენ, იმ კანონების თანახმად, რომელნიც ამ წესდების III თავში შეტანილი არიან.

§ 6. სესხი მხოლოდ იმისთანა ქონების გიროში მიეცემა, რომელიც თავისუფალია ყოველ-გვარის ვალისაგან, ან და იმ პირობით, რომ მისაცემად დანიშნულის სესხისაგან ეს ვალები გარდახდილ იქმნენ, ასე რომ შემდეგ ყოველთვის უპირატესობითი უფლება ჰქონდეს ბანკს, რომ მისგან გირაოთ მიღებულს ქონებას სესხი აზღვევინოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ რა წესით უნდა გარდახდილ იქმნეს, ან ბანკში გადმოტანილ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათაგან აღებული ვალები, ეს ბანკის ზედამხედველის კომიტეტისა და ფინანსთ სამინისტროს შეთანხმებით განისაზღვრება.

§ 7. სესხი გაიცემა: ა) გრძელ-ვადიანი და ბ) მოკლე-ვადიანი. ეს ორ გვარი სესხი ერთად არ უნდა ირიცხებოდეს ერთსა და იმავე ქონებაზედ.

§ 8. სესხი შეიძლება გაიცეს იმ ზომით, რომ სახნავ-სათესს, სათიბს და საბალახო მიწებში გაცემული დანაფასის ორმოცდა-ათ ნაასალზედ მეტი არ იყოს, ვენახისა და ხილნარს ბაღებში გაცემულმა დანაფასის ორმოც ნაასალს არ უნდა გადაამეტოს, და ქალაქში მდებარე უძრავს ქონებაში გაცემულმა — დანაფასის სამოც ნაასალს.

§ 9. სესხი გაიცემა ასაასობით, მხოლოდ იმ ქონების გიროში, რომლისაგანაც მუდამ შემოსავალია და რომლისაც დანაფასი ორას მანეთზედ ნაკლები არ არის.

§ 10. საერთო მფლობელობაში მყოფი ადგილ-მამული, თუ მთელად და ყველა მეპატრონეების თანხმობით არა, ისე არ მიიღება გირაოთ.

§ 11. ვისაც მიწის გირაოთი სესხის აღება სურს, იმან უნდა წარადგინოს ბანკში: 1) ჯეროვანი მოწამობა, რომ მამული სესხის ამღებს ეკუთვნის და არის თუ არა ამ მამულზედ რაიმე აღკრძალულება, საზღვევარი, ცილება, ძიება და სხვ; 2) პლანი, თუ კი აქვს მეპატრონეს, და 3) დაწვრილებით შედგენილი დაფასებითი აღწერილობა მამულისა. ვისაც ქალაქში მყოფი შენობის გირაოთი სესხის აღება სურს, იმან ხსენებულ საბუთებს გარდა უნდა წარმოადგინოს უზრუნველ-ყოფის პოლისი ანუ ფურცელი, რომელიც ბანკში უნდა იყოს შენახული.

§ 12. ქონებაში სესხის მიცემის დროს ბანკის გამგეობა მოახდენს განკარგულებას, რომ დაგირავებულს მამულს აღკრძალვა დაედვას, იმ რიგით, რომელიც ნაჩვენებია კანონთ კრების X ტომში, II ნაწ., 3 წიგ., 1 განყოფილებაში.

§ 13. თუ ადგილ-მამულში რაიმე შენობა არის, რომლისგამოც ადგილ-მამულის გირაოთ მიღების დროს მიწას ფასი მოემატა, ეს შენობები ვალის სრულიად გარდახდამდის ყოველწლივ ცეცხლისაგან უზრუნველ-ყოფილი უნდა იქმნენ სესხის ამღების ხარჯით და თუ ვინიცობაა ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა, რომ მაშინ უზრუნველ მყოფელი საზოგადოებისაგან მისაღები სასყიდელი პირდაპირ ბანკს გარდაეცეს, პოლისი ბანკის სახელზედ უნდა იყოს აღებული და იმის გამგეობაში უნდა ინახებოდეს. მიღებულის უზრუნველ-მყოფის სასყიდლისაგან ბანკი დაიჭერს ხვედრს სესხის ნაწილს. მაგრამ თუ სესხის ამღები წარმოადგენს გარანტიას, რომ უზრუნველ-მყოფელი სასყიდელი მოიხმარება დამწვარი შენობების გასაახლებელად და, თუ ბანკს გამგეობისაგან წარდგინებით, ზედამხედველი კომიტეტი ამ გარანტიას საკმაოდ ჰპოვებს, გამგეობას შეუძლიან ეს სასყიდელი უკლებლად შენობის პატრონს ჩააბაროს.

§ 14. თუ სესხის ამღებმა თავის ვადაზედ არ გარდიხადა შესატანად დაწესებული სესხის ნაწილი (§§ 29, 30, 36), ბანკის გამგეობა ადროებს მას ორ თვეს იმ პირობით, რომ თითეულს ვადაზედ შეუტანელს ფულში თვეობით თითო ნაასალი სარგებელი აძლიოს და ამ შემთხვევაში ყოველივე თვის ნაწილი სრულ თვედ უნდა ჩათვალოს.

§ 15. თუ ნადროების ორის თვის განმავალობაში გარდუხდელი ვალის ნაწილი არ შეიტანება, მაშან ბანკის გამგეობა გარდახდის დამგვიანებელის ხარჯით აცხადებს „სამმართებლო მოამბეში“ და გაზეთს „კავკაზში“ და ერთს დროვამოშვებით ქართულს გამოცემათაგანში, დაგირავებულის ქონების გასასყიდად დანიშნვას. მაგრამ სავაჭრო დღის განუსაზღვრელად, და ამასთანავე მოახდენს განკარგულებას, რომ ქონების დაფასებითი აღწერილობა შეამოწმონ მეპატრონის ან იმის ვექილის თან დასწრებით, ან თუ ისინი არ არიან, მსაჯულთ-ბოქაულის და ან პოლიციის მოხელის თან-დასწრებით.

§ 16. ექვს კვირას იქით ნადროების ორის თვის შემდეგ და სავაჭრო დღემდის ერთის თვის წინათ, და არა ამაზედ გვიან, სამჯერ უნდა დაიბეჭდოს იმავე გაზეთებში განცხადება სავაჭრო დღის და იმ ცნობების მაჩვენებელი, რომელთაც კანონთ-კრების (1857 წ. გამოც.), X ტომის II ნაწილის 2089 მუხლი მოითხოვს.

§ 17. სესხის ამღებს ნება აქვს შეიტანოს სავაჭრო დღემდის დროზედ გარდაუხდელი ვალი, ვადაზედ გარდაცილებისათვის ხვედრი სარგებლით და ქონების გასასყიდლად დანიშნვაზედ დანახარჯითურთ და ამითი გადაარჩინოს თავისი ქონება გაყიდვას.

§ 18. ბანკში დაგირავებულის ქონების გასასყიდი ვაჭრობა მოხდება, საცა გამგეობა ამჯობინებს, ან თვითონ ბანკის გამგეობაში, ან იმ სახაზინო დაწესებულებაში, საც ეს კანონისაგან ნებადართულია; ამ უკანასკნელს შემთხვევაში ვაჭრობა უნდა მოხდეს ბანკის ვექილის მონაწილეობით.

§ 19. ვაჭრობა დაიწყება იმ ფულითგან, რაც დაგირავებულს ქონებას ბანკის სესხისაგან ვალად ადევს, დაგვიანებული სახაზინო, საერო და საქალაქო გარდასახადითურთ და ამას გარდა იმ ფულითურთ, რომელიც ბანკს ქონების გასასყიდად დანიშნვისათვის დაუხარჯავს.

§ 20. ვაჭრობა იცნობება შესრულებულად, თუ რომ მოვაჭრეთაგან შემოძლეულის ფასი წინა მუხლში მოხსენებულს ვალსა და ხარჯს ისტუმრებს. რაც ამაზედ მეტი აიღება, ბანკის გამგეობა გააგზავნის ჯეროვანს სახაზინო დაწესებულებაში კუთვნილებისამებრ გარდასაცემად.

§ 21. გასყიდვის შესრულების შემდეგ ბანკის გამგეობა აცნობებს ჯეროვანს დაწესებულებას, რომ იმან მსყიდველს შეძენილს ქონებაზედ ნასყიდობის წერილი მისცეს.

§ 22. თუ რომ პირველი ვაჭრობა არ მოხერხდა, დაინიშნება ხელმეორეთ უკანასკნელი ვაჭრობა ორ კვირას იქით.

თუ რომ ამ მეორეს უკანასკნელს ვაჭრობაზედ არავინ არ შეაძლევს იმდენს ფასს, რომ ვალის გარდა რაც ბანკს ერგება იმასა და სახაზინო, საერო და საქალაქო დაგვიანებულს გარდასახადს უდრიდეს, მაშინ გირაო ქონება ბანკის სრულ კუთვნილებაში გადადის, რომელიც ვალდებულია, რომ ნახევარის წლის განმავალობაში გაჰყიდოს ეს ქონება თავის ვალის საზღვევრად ან ვაჭრობის დანიშვნით, ან სხვებრ გასაღებით

ბანკის საკუთრებად გამხდარს ქონებს, მართავს და ჰყიდის გამგეობა, იმ სახელმძღვანო წესის თანახმად, რომელიც საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულია.

§ 23. სესხის ნაწილი, რომელსაც გიროს გაყიდვით აღებული ფული ვერ აუვაუნდა შეივსოს ჯერ შემონახულის თავნისაგან და თუ ეს არ იკმარებს — ბანკის დასაფუძნებელის თავნისაგან.

§ 24. როდესაც ბანკი სესხის ამღებს დროზედ შეუტანელს ვალს აზღვევინებს, სახაზინო დაწესებულებანი და მოხელე პირნი ვალდებული არიან, დააკმაყოფილონ დაუყონებლივ, დაწესებულის რიგით, ბანკის გამგეობის ყოველივე კანონიერი მოთხოვნილება.

§ 25. როცა ბანკში დაგირავებული ქონება სახალხოდ ისყიდება ხაზინის ან კერძო პირთა საზღვევრად, ბანკის ვალი საკონკურსო ქონების ნაწილში არ შედის და დაკმაყოფილდება, ხვედრის საზღაურით, სახაზინო და კერძოობითის ვალების უმალ, სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა ვალს გარდა, სახაზინო, საერო და საქალაქო გარდასახადს გარდა და ქონების ვაჭრობაზედ დანახარჯს ფულს გარდა.

ამ გვარ ქონების გასყიდვაზედ ბანკის ვექილი დაესწრება.

§ 26. ვინც ბანკიდგან ქონების გირაოთი ფულს აიღებს, ამ წესდების ყველა კანონებს ემორჩილება.

შენიშვნა. დადგინებანი, რომელნიც გამოხატული არიან § 5-დგან § 26-დის უკანასკნელითურთ, თანასწორად შეეხებიან, როგორც გრძელ-ვადიანს, ისე მოკლე-ვადიანს სესხს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ, ვინიცობაა, მოკლე-ვადიანის სესხის ამღებმა დროზედ ვალი არ გარდიხადა, ბანკს უფლება აქვს, რომ სესხის ამღების თანხმობით, ვაჭრობა დანიშნოს თავდაპირველ იმ ნაჭირნახულევის გასასყიდად, რომელიც მას ხელად აქვს; და თუ ამის გაყიდვით აღებული ფული საკმაო არ იქნება მრთელი ვალის გასასტუმრებლად, მაშინ ბანკი დაგირავებულს უძრავს ქონებას აზღვევინებს.

---

ა. გ რ ძ ე ლ - ვ ა დ ი ა ნ ი  ს ე ს ხ ი.

§ 27. გრძელ-ვადიანი სესხი მიიცემა: 1) სახნავ-სათესის, სათიბისა და საბალახო მიწების გიროში ორმოცდა თოთხმეტ ნახევარის წლის ვადით და 2) ქალაქში მდებარე უძრავის ქონების გიროში თვრამეტის წლისა და შვიდის თვის ვადით.

§ 28. გრძელ-ვადიან სესხად ბანკი აძლევს გირაოს-ფურცლებს დასახელებულ ფასად. მაგრამ იმას შეუძლიან, რომ სესხის

ამლებთან შეპირებით, მიინდოს თვითონ მიცემულის ფურცლების გასაღება და აიღოს გასამრჯელო გამგეობისაგან დაწესებულის ზომით, მაგრამ მეოთხედ ნაასალზედ არა უმეტესი. ამ გასამრჯელოს ზომის შეცვლა ყოველთვის დროზედ უნდა გამოცხადდეს.

§ 29. გრძელ-ვადიანის სესხის ამლები ვალდებულია იხდიდეს ყოველს ექვს თვეში ვალის სამ ნაასალ ნამთავენს და ამასგარდა სხვა ფულსაც, საზოგადო კრებისაგან დაწესებულის ზომით, მაგრამ სამ მეოთხედ ნაასალზედ არა უმეტესს: ა) ბანკის შემონახულის თავნის შესადგენად: ბ) საგანგებო (ექსტრაორდინალური) თავნის შესადგენად, რომლიდგანაც, თუ ზედამხედველი კომიტეტი საჭიროდ დაინახავს, ერთ-ჟამიერი შესაწევარი უნდა მიეცეს იმ თავად-აზნაურებს, რომელთაც ბანკის დასაფუძნებელისა და შემონახულის თავნის შესადგენად ფული შეუტანიათ და რომელთაც რაიმე უბედურება შემთხვევიათ, მაგალითად: ცეცხლი, უმოსავლობა, მიწის-ძრვა და სხ. ამგ. და რომლიდგანაც აგრეთვე უნდა დაკმაყოფილდეს, ზედამხედველის კომიტეტის წარდგინების მებრ, დამტკიცებულისა საზოგადო კრებისაგან, (§82) საზოგადოებრივი საჭიროებანი მიწის მეპატრონე წოდებისა თფილისის გუბერნიაში.

§ 30. სესხის გადასახდელად ამლები ვალდებულია შეიტანოს ყოველს ექვს თვეში: $54\frac{1}{2}$ წლის ვადით მიცემულს სესხზედ ვალის ერთი მერვედი ნაასალი და 18 წლის და 7 თვის ვადით მიცემულზედ—ერთ ნახევარი ნაასალი.

რაც დაფასების წარმოებაზედ და გირაოს ფურცლების მომზადებაზედ დახარჯულა, იმის შესავსებლად ბანკი იღებს ერთ-ჟამიერ ფასს, საზოგადო კრებისაგან დაწესებულის ზომით, მაგრამ ვალის ერთ ნაასალზედ არა უმეტესს.

§ 31. ამ წესდების §§ 29 და 30-ში დაწესებული მისაცემი ფულები უნდა შეიტანონ ყოველივე ნახევარის წლისათვის წინ-და-წინ, 30 ივნისსა და 31 დეკემბერზედ არა გვიან. ეს შესატანი ფულები შეიძლება გარდაიხადონ ნაღდ ფულს გარდა ბანკის გირაოს ფურცლებითაც, რომელთაც გაუქმების წილი ხვედრიათ, ან ამ ფურცლებისაგან ნაკვეთის კუპონებით, რომელთაც გარდახდის დრო შესრულებიათ.

§ 32. სესხის ამლებლებს ყოველთვის შეუძლიანთ, დაწესებულის რიგით და ზომით მისაცემს ფულს გარდა, გრძელ ვადიანის სესხისაგან დანარჩენი ვალიც დაუბრუნონ ბანკს ვადამდის, ნაწილ-ნაწილად, ას მანეთზედ არ ნაკლებ და სრულ ას-ასობით, ან მრთლად, ვირაოს ფურცლების დასახელებულ ფასად შეტანითა.

მაგრამ თუ ამ გვარის ვალის ვადამდის გარდასახდელად სესხის ამლები ნაღდს ფულს წარადგენს, მაშინ ის ვალდებულია თავნს გარდა მისი სარგებელიც შეიტანოს, რამდენიც ამ თავნით შესაფარდებელის გირაოს ფურცლების გაუქმებამდის შეხვდება,

§ 33. ქონების გადაგირავება და გრძელ ვადიანის სესხის განახლება შეიძლება, როდესაც ამ ქონებაზედ მდებარე გრძელ-ვადიანის ვალის მეხუთედი გადახდილი, იმ პირობების თანახმად, რომელნიც სესხის ამლებმა პირველად სესხების დროს იყაბულა. გადაგირავების დროს ბანკის სასარგებლოდ აიღება ერთი ნაასალი იმ სესხზედ, რომელიც გირაოს ფურცლებით გადაგირავებულს ქონებაში სამატად მიეცემა.

---

## ბ. მოკლე-ვადიანი სესხი.

§ 34. მოკლე ვადიანი სესხი შეიძლება გაიცეს ერთის წლის ვადიდგან სამს წლამდის, სესხის ამლების სურვილისა და გამგეობის დახედვისამებრ.

სესხის გარდახდა, რომელიც ამ საფუძვლით ვენახისა და ხილნარი ბაღების გირაოშია გაცემული, შეიძლება განაწილებით ედროვოს, იმ ვადის გათავების შემდეგ, რომლითაც სესხია გაცემული, კიდევ ხუთს წელიწადს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გირაოს ხელ-ახლად დაფასებით, იმისი ღირებულება საკმაო აღმოჩნდება ვალის საზღვევრად, § 8 მუხლში ნაჩვენების ზომით.

§ 35. მოკლე-ვადიანი სესხი გაიცემა ნაღდი ფულით: 1) ყველა ფულისაგან. რაც კი თავად-აზნაურებს შეუტანიათ § 1 მუხლის, 1 შენიშვნის, 1 და 2 ქდის თანახმად; ბ) ბანკის სამუშაო (სერმია) თავნისაგან, რომელიც შესდგება ამ წესდების § 90 მუხლში ნაჩვენების რიგით; გ) შემოსავლისაგან, რომელიც ბანკმა მის საკუთრებად გამხდარის ქონებისაგან მიიღო; დ) სარგებლისაგან, რომელიც ბანკის შემონახულსა და დასაფუძნებელს თავს ემატება, და ე) ფულისაგან, რომელიც ვალს გარდ ბანკმა მიიღო, ვალის გადუხდელობისაგამო მის საკუთრებად გამხდარის ქონების გაყიდვით.

§ 36 მოკლე-ვადიანის სესხის სარგებლის ზომა და თავნის დაბრუნების პირობები უნდა დაწესდეს, გამგეობის წარდგინებით, ზედამხედველის კომიტეტისაგან და დროზედ გამოცხადდეს § 15 მუხლში მოხსენებულს გაზეთებში.

შენიშვნა. ამ კანონისაგან გამონაკლისით, ყოველს ექვს თვეში ორ ნახევარი ნაასალი ნამთავენი უნდა აიღოს ბანკმა მოკლე-ვადიანის სესხისაგან, რომელიც მიეცემა: ა) თავად-აზნაურებს, დასაფუძნებელის თავნის შესადგენად 80,000 მანეთის შემტანთ (§ 2, ქა.); ბ) თავად-აზნაურებს რომელთაც 20 ნოემბრის 1872 წლის პროტოკოლის თანახმად ფული შეუტანიათ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმათ ხსენებულის პროტოკოლისამებრ რაც უნდა გარდაეხადათ, სრულიად შეტანილი აქეთ, გ) თავად-აზნაურებს, რომელთაც გლეხებში სასყიდელი არ მიუღიათ და ფონდის გასადიდებლად სრულიად შეიტანეს ფული, რომლის ზომა დაწესებული იქნება § 82 მუხლის თანახმად.

§ 37. მოკლე-ვადიანის სესხისათვის დანიშნული ფული უნდა განაწილდეს თფილისის გუბერნიის უეზდებს შორის იმ გვარად, რომ თითოეულ უეზდში სესხად გაცემულმა ფულმა არ გადაემეტოს იმ უეზდის თავად-აზნაურებისაგან შეტანილს. თუ, ვინიცობაა, რომელიმე უეზდში საჭირო სესხი ზემო ანგარიშისამებრ ხვედრს ფულზედ ნაკლები იქნა, მაშინ ბანკის გამგეობას უფლება აქვს, რომ ამ უეზდისათვის მეტი ფული მოკლე-ვადიანის სესხის გასაცემად მოიხმაროს თფილისის გუბერნიის სხვა უეზდებში.

§ 38. უპირატესობითი უფლება მოკლე-ვადიანის სესხის მიღებაზედ ეკუთვნის: 1—ად) თავად-აზნაურებს, რომელთაც დასაფუძნებული თავნის შესადგენად 80,000 მანეთი შეიტანეს (§ 2, ქ ა), 2—ედ) თავად-აზნაურებს, რომელთაც იმავე თავნისათვის შეიტანეს 29 ნოემბრის 1872 წლის პროტოკოლისაგან დაწესებული ფული სრულიად, ორი თვის განმავლობაში ბანკის გახსნიდგან.

(შემდეგი იქნება).

---

## თფილისის სავაჭრო ბანკი.

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 1 ივლისიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

### იღებს

1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,

ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:

ექვსი თვით . . . . . . . 7 %

ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:

ექვსი თვით . . . . . . . 8 %

2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში.

ა.) სარგებლიანი ქაღალდებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . . . . . 7%

ბ.) ვექსილებით უზრუნველყოფილს . $7\frac{1}{2}$%

3.) ვექსილების დაცვლაში:

ექვსი თვით . . . . . . . 9%

4.) უზრუნველ ყოფილის სოლო-ვექსილების დაცვლაში:

ექვსი თვით . . . . . . . . 9%

ცხრა თვით . . . . . . . . $9\frac{1}{2}$

5.) საქონლის გირაოში:

რომელიც მოტანილია . . . . . . 9 %

რომელიც გზაშია . . . . . . . 10 %

### იხდის

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %

2.) შესანახად მიბარებულში

ა.) მოთხოვნამდის . . . . . . . 5 %

ბ.) ექვსი თვით. . . . . . . . 5 %

გ.) ერთი წლით . . . . . . . 6 %

დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოსთან მორიგებით.

---

ნაფიცი ვექილის თანა-შემწე ვასილი გიორგის ძე მაჩაბელი კისრულობს კავკასიელი საქმეების ვექილობას სხვა და სხვა სამმართველოებში და უმთავრესად სენატში. აგრეთვე სპრავკების გაგზავნას. თითეული სპრავკისათვის უნდა გამოგზავნოთ ხუთი მანეთი.

ადრესი: въ Петербургъ, Малая Садовая домъ № 8, кв. № 24.

---

ბერინშტამის და ვართანოვის წიგნების მაღაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში, თფილისს, და ლორთქიფანიძისაში, ქუთაისს,

ისყიდება რუსული წიგნი:

ქუთაისის მაზრის სამსაჯულო.

პროცესი ნ. ი. ნიკოლაძისა, რომელსაც მაზრის სამსაჯულოს შეურაცხყოფას აბრალებენ.

ფასი ორი შაური.

ქალაქს გარეთელებს შეუძლიანთ ორი ორშაურიანი ფოსტის მარკა გამოაგზავნონ ამ წიგნის ფასად.

---

ქალაქს თბილისში

ვართანოვის წიგნების მაღაზიაში ისყიდება

მცენარეთა ლექსიკონი.

ლათინურს, რუსულს და ქართულს ენებზედ შედგენილი თ. რაფ. დ. ერისთავის-მიერ

ფასი ათი შაური.

---

ქალაქს თფილისში,

სემინარიას ქვეშ სარდაფში ისყიდება

ნამდვილი ბუნებითი

კახური ღვინოები

თ. რ. და ი. ერისთავებისა

და სხვა კახეთის მემამულეთა ვენახებისა

თვითოეული ბოთლის ფასი

ერთის აბაზიდგან მანეთ ნახევრამდის.

---

| რკ.გზა. | დილა | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | | 38 |
| გორი | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | 10 | 2 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 27 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | 9 | 11 | | | 1 | 18 | | 66 |
| სამტრედია | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — კვირა საღამ. 6 საათ

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს —

ოდესას —

გ) ბაქოდამ:

ასტრახნისკენ — სამშ. ხუთშ. დილ.

ასტრაბადისკენ — კვირა შუაღამეს.

### ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | - | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 3 | — |
| სპარსეთში . . . . . . | 5 | 76 |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . | 4 | — |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:

ყოველგან — პარასკევობით ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ამას გარდა ოზურგეთს — ორშაბ. ბაქოს — სამშაბ. განჯას — ოთხშაბათს (შუადღემდი)

ბ) ქუთაისიდამ:

ყოველგან — ორშაბ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს — ხუთშაბ. და შაბათ. (საღამომდი.)

გ) გორიდამ.

ყოველგან—ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკევობით (საღამოს შვიდ საათამდე.)

დ) ფოთიდამ:

ყოველგან—ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

### ბირჟა

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 8 ივლისს ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33\frac{1}{4}$ პენსი. | — | 83 |
| პარიჟში 351 სანტიმი. | — | 88 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | 50 |
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | 50 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 171 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 172 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 84 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 87 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 255 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 132 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 535 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 174 | — |
| პირვ უზრუნვ. მყოფი საზ. | 645 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ. | 262 | 50 |
| მოსკოვისუზრ. მყოფი საზ. | 267 | 50 |

### მაზანდა

| თფილისი, 18 ივლისს | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური განჯისა . . | 1 | 20 |
| ქერი. . . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა . . | 5 | 40 |
| — ამერიკისა . . | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა . | 8 | — |
| მატყლი თუშური . | 7 | — |
| — თარაქამისა . . | 4 | 50 |
| აბრეშუმი . . . | 7 | — |
| ქონი . . . . | 4 | — |
| ქონის სანთელი . . | 6 | — |
| სტეარინის სანთელი . | 10 | 50 |
| ხორცი ძროხისა . | — | 55 |
| — ცხვრისა . . | — | 60 |
| სპირტი . . . . | 8 | — |
| შაქარი კარგი . . | 8 | 50 |
| — ფხვნილი . . | 7 | 50 |
| ყავა გრგვალი . | 18 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა . | 7 | — |
| ოქრო . . . . | 5 | 94 |

### სახაზინო განცხადებანი

— კავკაზის პრიკაზის განკარგულებით თელავის უეზდის სამმართველოშია 9 სექტემბერს უნდა მოხდეს ვაჭრობა და წესისაებრ ხელმეორედ ვაჭრობა სოფელს კურდღელაურს მდებარე ვენახის გასასყიდად. ამ ვენახზედ ითვლება 4000 მანეთი ვალი. დაფასებითი აღწერა ნახეთ თელავის უეზდის სამმართველოში.

— კავკაზის პრიკაზის განკარგულებით იმავე დღეს დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში ვაჭრობა და წესისაებრ ხელმეორეთ ვაჭრობა ქვის სახლის გასასყიდათ, რომელზედაც 2300 მანეთი ვალი არის. დაფასებითი აღწერილობა შეიძლება ნახოთ გუბერნიის სამმართველოში.

— 16 სექტემბერს კავკაზის პრიკაზში დანიშნულია ვაჭრობა და ხელ მეორედ ვაჭრობა ერთი ქვითკირით სახლების გასასყიდად, რომელზედაც ითვლება 1,600 მანეთი ვალი. დაფასებითი აღწერა ნახე პრიკაზში.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Іюля 1874 г.* მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ ლორთქიფანიძე